ტანტალიზი №
35
(218)
კვირა, 25 აგვისტო
1929 წ.
წელიწადი მე-6-ე ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ელამი თვალები

— ამათი საქმე ცუდად არის... უკვე დაიწყო „კუდები“... მგონი ახლეს ჩემი სიზმარი.

შეცდომის გასწორება

— ამხანაგებო, მე ზედმეტად მიმაჩნია იმაზე ლაპარაკი, რომ ობლიგაციები თვითეულმა ჩვენგანმა უნდა შეინახოს.

— ასე დაიწყო დომენტიმ თავისი სიტყვა მუშათა საერთო კრებაზე ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაციების დარიგების შემდეგ. — თუ დავაგირავებთ, ან და გავყიდით, მაშინ, ამხანაგებო, ჩვენი მთავრობა ვერ შესძლებს დაასრულოს ის დიდი აღმშენებლობა, რომელსაც ამჟამად აწარმოებს. ამიტომ, ამხანაგებო, არც ერთმა ჩვენთაგანმა არა თუ გაყიდოს, არც უნდა დააგირაოს თავისი ობლიგაცია. ჩვენ ამას გვავალებს ჩვენი მუშური შეგნება და თანაგრძნობა ჩვენივე მთავრობისადმი! — დაასრულა სიტყვა დომენტიმ, რომელსაც მთელმა კრებამ ტაში დაუკრა.

— გარდა ამისა, ამხანაგებო, — ისევ განაგრძო დომენტიმ, — ჩვენში თუ ვინმეს მსხვილი მოგება ხვდეს, ას მანეთზე მეტი, მოგებიდან ერთი მეხუთედი შესწიროს ჩვენს ქარხკომს წითელ კუთხის მოსაწყობად! — ამ სიტყვასაც ოვაციებით შეხვდენ მუშები.

***

ქარხკომის ოთახში გამოკრულ ცხრილში აღნიშნული იყო — ვის რა ნომერი ობლიგაცია ეკუთვნოდა.

მართალია, ობლიგაციების დარიგების შემდეგ ეს ცხრილი აღარ იყო მაინცდამაინც საჭირო, რადგან ობლიგაციები ყველას ხელზე ჰქონდათ, მაგრამ კედლიდან მაინც არ ჩამოეხსნათ.

ქარხანაში გამოაკრეს ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის მესამე ტირაჟის მოგებათა ცხრილი.

ბევრს ოვდა მოგება.

ყველაზე დიდი მოგება (1000 მანეთი) ხვდა დომენტის.

მუშებმა შეიძახეს და დომენტისაკენ მოიხედეს, მაგრამ სადღა იყო დომენტი!

— სად წავიდა? სად გაჰქრა?

— ალბად უნდა დაგვემალოს და პირობისამებრ არ შემოსწიროს ჩვენს ქარხკომს მეხუთედი!

— დომენტი არ არის მაგნაირი!

— ორასი მანეთი კარგად მოაწყობს ჩვენს ქარხკომს.

— წავიდეთ და ვახაროთ დომენტის! და მუშების ერთი ჯგუფი ქარხნის სასადილოსაკენ გაექანა.

***

დომენტი იჯდა და ნერვიულად პაპიროსს ქაჩავდა.

მიახარეს.

დომენტი გულგრილად შეხვდა ათასი მანეთის მოგებას.

— რა ამბავია?! რა გიკვირთ?! ათასი მანეთი არ გინახავთ? — წყრომის კილოთი უთხრა ამხანაგებს და გავიდა.

— ეეე, ბიძია; მაგეთები არ გაგივა ჩვენთან. თვითონ შენ არ გაიძახოდი რიხიანად — ვინც მოიგოს, მეხუთედი ქარხკომს შესწიროსო!!

— ვინც ბევრს ლაპარაკობს, ის საქმეში მთხლეა!

— მთხლეც იყოს და, თუ გინდ, უარესიც. ორასი მანეთი უნდა ჩამოყაჭოს. ბას რვაასიც ეყოფა.პირობა - პირობაა!

***

მოგებანი დაარიგეს ბანკში.

ყველამ მიიღო.

მოგებულმა (იმათაც კი, ვისაც ასმანეთიანი მოგება ხვდა) შესწირეს ქარხკომს თავისი წვლილი — (მეხუთედი მოგებისა).

დომენტი ისევ ცივად და მიუკარებლად იდგა.

— დომენტის ორასი მანეთი სადღა არის! — შეეკითხა ერთი მუშა მომხსენებელს, რომელიც ამ უკანასკნელმა საერთო კრებას ანგარიშს გაუწია.

— დომენტის ჯერ არ შემოუტანია.

— რაშია საქმე?

— თვითონ დომენტის ვკითხოთ!

— ამხანაგებო, — გაუბედავი ხმით დაიწყო დომენტიმ, — ნება მომეცით ის ორასი მანეთი, რომელიც მოგებიდან უნდა შემომეწირა ქარხკომისათვის, შემოვიტანო ჯამაგირიდან წვრილ - წვრილად...

— რა უყავი ათასი მანეთი, რომელიც მოიგე? — შეეკითხა ერთი მუშა.

— ის... ის ათასი მანეთი... ამხანაგებო... რომელიც, რომ... საქმე იმაშია, რომ ამხანაგებო, ათასი მანეთი... ანუ... ესე იგი... ჰო-და, ოჯახში ისეთი შემთხვევა შემემთხვა, რომ დამეხარჯა, და ამიტომ...

— სტყუი! ალბად გაყიდული გაქვს ობლიგაციები!— წამოიძახა ვილაცამ.

— ეტყობა ლაპარაკის სიფათში, რომ უკვე გაყიდული აქვს! — დაუმატა მეორემ.

— ჰო, მართალია... გაყიდული დამირჩა. არ მეგონა თუ მოიგებდა, თორემ არ გავყიდდი! —დომენტიმაც აღარ იცოდა, თუ მისდა დაუკითხავად რას როშავდა მისი ენა.

— არა, ჩვენ არ გვინდა შენი ორასი მანეთი, და ისიც ჯამაგირიდან. მაგრამ გრცხვენოდეს! რას ამბობდი და რა ჩაიდინე!

— ყოჩაღ, ყოჩაღ, დომენტი! — ყოველ მხრიდან დაცინვით ეძახოდენ ამხანაგები.

— მიჭირდა და გავყიდე! — სცადა თავის მართლება, მაგრამ მაშინვე ჩაჩუმეს:

— არაფერიც არ გიჭირდა. შენზე ნაკლები ჯამაგირი გვაქვს და სარჩენიც მეტი ყვყავს, მაგრამ ობლიგაციები არ გაგვიყიდია.

— არც მე მინდოდა გამეყიდა, მაგრამ, ხომ იცით, ცოლი რომ შემოგიჩ...

— ცოლს ნუ აბრალებ. პირიქით, მე ვიცი, რომ ცოლი გეუბნებოდა — ნუ გაჰყიდი, საჭიროებისათვის შემოინახეო! — წამოიძახა მეზობელმა.

— ერთი ამას უყურეთ! აქ კრებებზე ემანსიპაციაზე ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებით ლაპარაკობს, თურმე რა შეხედულების ყოფილა ქალზე! — გაცხარდა ერთი მუშა ქალი.

გაფითრებულ დომენტის ეჩვენებოდა: აი, აგერ მიწა გასკდა შუაზე, უფსკრულმა დაღო ხახა და ამ ხახაში გადაეშვა დომენტი.

— მიწა გამისკდავო, რომ იტყვიან, — სწორედ ეს არის! — გაიფიქრა მან და განზე გავიდა.

***

დომენტიმ თავისი შეცდომის გამოსასწორებლად ორი თვის ხელფასის რაოდენობით მოაწერა ხელი ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე.

ვისაც ჩადენილი აქვს ინდუსტრიალიზაციის წინაშე დომენტისებური შეცდომა (ობლიგაციების გაყიდვა), მან თავის შეცდომის გამოსასწორებლად უნდა მიბაძოს ისევე დომენტის — ხელი მოაწეროს ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე ორი თვის ხელფასის რაოდენობით.

მხოლოდ ამ გზით და ამ საშუალებით შეიძლება თავისი დიდი შეცდომის გამოსწორება და ამხანაგებთან ამხანაგობის აღდგენა.

სხვა გზა არ არის.

ი—ი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ᲙᲕᲘᲠᲐᲡᲘ“ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲘ

ᲨᲔᲤᲘ (თავისთვის: — **უმოქმედობას ვერავინ დამწამებს —ყოველ შაბათ - კვირას სამსახურის შემდეგ საშეცი სოფლისაკენ მივიჩქარი!**

შეიძინეთ სესხის ობლიგაციები

„შეიძინეთ ინდუსტრიალიზაციის პირველი სესხის ობლიგაციები“.

ეს პლაკატი წაიკითხა — იობიმ და ზინობიმაც.

— მე გასასესხებელი ფული არ მაქვს, პიანინო უნდა შევიძინო! — ჩაილუღლუღა იობიმ და განაგრძო საუბარი მემანქანე ქალთან (ეს ამბავი დაწესებულებაში იყო, მუშაობის დროს).

— არა ძმაო, მე უნდა შევიძინო ეს სესხი, — სთქვა ზინობიმ და მართლაც შეიძინა.

„მაისში მოხდება პირველი ტირაჟი“.

გამოცხადდა კიდევ და ტირაჟიც მოხდა.

— მოიგე რამე? — დაინტერესებით შეეკითხა იობი ზინობის.

— წარმოიდგინე, ოცდახუთი თუმანი მომიგია, — უპასუხა ზინობიმ და ბანკში გაეშურა მოგების მისაღებად.

„შეიძინეთ ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხი“

ეს პლაკატიც ორივემ წაიკითხა: იობიმ და ზინობიმ.

— სად მაქვს გასასესხებელი ფულები? — ჩაიბუტბუტა იობიმ და მიუბრუნდა მემანქანეს.

— არა ძიაჯან, მე უსათუოდ უნდა შევიძინო, — სთქვა მხიარულად ზინობიმ.

იობი დაფიქრდა: „იქნებ მეც მოვიგო რამე“? — გაიფიქრა და ზინობისთან ერთად შეიძინა ობლიგაციები.

„ივნისში მოხდება ინდუსტრ. მეორე სესხის ტირაჟი“.

იობი, რომელიც დარწმუნებული იყო მოგებაში, წავიდა და 300 მანეთიანი შკაფი დაუკვეთა დურგალს.

ტირაჟი ჩატარდა, მაგრამ ვერც ერთმა ვერ მოიგო.

— ხომ ვამბობდი არ ღირს ობლიგაციების ყიდვა ოქო, — გაბრაზებით ჩაილაპარაკა იობიმ და იმ დღესვე გაყიდა ობლიგაციები.

გამოცხადდა მეორე ტირაჟი და... ჰაო იობის გაკვირვებავ — ზინობიმ, რომელსაც ობლიგაციები არ გაუყიდია, აქაც მოიგო.

— მაშ იმ შკაფს მე გამოვიყიდი და წავიღებ, — მიუბრუნდა იგი თავზარდაცემულ იობის.

— წაიღე ძმაო, მოგახმაროს, უპასუხა იობიმ და ისევ მემანქანე ქალს მიუბრუნდა (ასეთია მისი ჩვეულება).

„შეიძინეთ ინდუსტრ. მესამე სესხის ობლიგაციები“.

კვლავ გამოცხადდა გაზეთებში, კვლავ გაიკრა პლაკატები.

— მე ვდებ ორი თვის ხელფასს,—განაცხადა ზინობიმ.

— რა გიჭირს, ისწავლე მოგების ხერხი და ახლა რას გაუშვებ, — ბრაზით შეუღრინა იობიმ და შეიტანა განცხადება:

„ვდებ სამი თვის ხელფასს ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის ობლიგაციების შესაძენად“.

იმავე დღეს იობიმ ზინობი მიიპატიჟა სახლში და საკმაო შეზარხოშების შემდეგ სთხოვა:

— კაცი ხარ, ქუდი გხურავს, ამისრულე ეს სათხოვარი!— მასწავლე მომგებ ობლიგაციების გამოცნობა და საერთოდ მასწავლე, როგორ ახერხებ მოგებას?

ეგ სულ ადვილი საქმეა საკმარისია ორი რამ.

— ოთხი რამ იყოს... რა უნდა ვქნა, როგორ მოვიქცე?

პირველი პირობა ის არის, რომ ჩვენი სახელმწიფო სესხების ობლიგაციები ყოველთვის უნდა შეიძინო.

— მაგას ვიზამ უთუოდ... მეორე?

— **მეორე ის, რომ ნაყიდი ობლიგაციები უნდა შეინახო სახელმწიფოს მიერ დადებულ ვადამდე-**

— მეტი არაფერი?

— მეტი არაფერი.

— მოგიკვდეს, იობი, თუ სწორედ ეგრე არ მოვიქცე! ახლავე მივრბივარ ობლიგაციების შესაძენად!.. **ალლარ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულაკ-მავნებლები

სოფლის კულაკს,
ელიშუღას,
ვინც რომ უხშავს, სოფელს შუკას;
არ ანებებს
სასმელ წყაროს;
არ სურს ვინმე მიეკაროს
იმის ეზოს,
ჭიშკარს, ოდას;
ვისაც თვალს და
გულს უკოდავს
მეზობლის თუნდ შვების წუთი;
უნდა მჯიღში
შენახუთი
მთლად ქვეყანა მას რომ მისცა:
წყალი არის
ის თუ მიწა,
თეთრია თუ
საქონელი,
სურს ყველაზე
ედოს ხელი
და ყველას ის განაგებდეს!
ტყეა, — ის
აჩანაგებდეს!
მთა არის თუ იალაღი,
სამუშაო იარაღი:
ბარი, ცული,
თოხი, წალდი,
სახნის — გუთანს
წლითი წლამდი
ის ათრევდეს მინდორ - გზაზე...
ის აფრენდეს ნავებს ზღვაზე
სათევზოს თუ
სატრანსპორტოს,
კოტრაბანდზეც
სახლაფორთოს...
მისი იყვეს ყველა პორტი!...
და რათ უნდა
მას „ლაპორტი“,
რომ ხალხისთვის თვის უმეტეს
ტარანსაც არ გაიმეტებს,
არ თუ ლოქოს
ანუ ფარგას!...
ბალია და,—
ის თვით დარგავს!
ბოსტანს ის თვით მოაშენებს!...
დაიმონებს თუნდ მთელს თემებს.
რათა ჰმატოს
თავის ჯიბეს,
და სიმდიდრის მაღალს კიბეს
უდოს ქვებსა
თუ აგურზე.
საფეხური
საფეხურზე,
რომ წარმოსდგას
იმის მაღლით
ბრძანებლობის თვისის ტახტი!
დე, ტახტს ედგას
მისას ბურჯათ!
ძირს მიწა და
ზედ ცაც ლურჯათ
ბურთ - მოედნად ეპყრას ხელში.
და შეჰქონდეს
თავის ხვრელში:
სიამენი სოფლისანი,
ცხად არს, სხვისი ოფლისანი!..
ასეთია ელიშუღა,
ჩაბუსკვნილი, როგორც ბუღა,
კაცი შემძლე
და ვულაკი!
აქვს პირ-სავსე
მას ბუნაგი
ყოველივე გასაძღომით:
ბჭადით, პურით, ღვინით, ღომით,
ჩასაცმელ თუ დასაჯდომით,
დასაწოლ თუ დასადგომით,
ქვეშ გასაგებ გასაფენით,
ფუფუნებით მოსასვენით...
და ამას ვით შეელიოს?
ცხოვრებაში სხვამ რომ სძლიოს,
თუნდაც ეს სხვა
იყვეს ბევრი,
კოლექტივი, ენა-მჭევრი,
და დაკლოს
რამე—რუმე,
ფარჩაა თუ
აბრეშუმი,
სასმელი თუ
დასანაყრი,
ელიშუღას
ეს დანაკლი
ძილს არ მისცემს,
მოსვენებას!..
გადაჰყვება
დარდს და სნებას,
რომ მიაკლდეს ერთი ბ-წო
თვისკენ ითლის,
როგორც ეჩო,
და სხვებისგან
დანაკლისებს
უხდის მხოლოთ პარ-
რადგან მით ის
ბეღლებს ივსებს,
ანუ სტენის თავის ქ-
ელიშუღას
მსგავსი სოფლად
ოთხი — ხუთიც
არის მთხრობლად.
და თუმც სახრავ
სა ცა რავ-
ერთიც ეყვის
სოფელს თავად,
მაგრამ ამ სხვებს
მაინც იტანს:
ზოგს ვაჭარს და ზოგს—მიკიტანს,
ზოგსაც კიდევ
ჩარჩს თუ დალალს,
რწყილს რომ აცლის ტყავს თუ ბა-
რადგან მათში
შრომის სქესი
თავად არის განაწესი
და ურთ-ერთის
მაგალითებს
იყენებენ, როგორც თითებს,
გიტარაზე
საბარტყუნოდ,
სოფლის უფრო, მოსალუნა
თუმცა ზოგჯერ,
ისე, ძვირად
ურთ—ერთს წელში
გასატკვირად
ეცემიან ხოლმე
მტრულად;
დანასავით გაბასრულად.
მაგრამ მაინც,
როგორც ფენა,
როგორც ძალთა გამოჩენ
საშვალო და
ღარიბების
ანტიპოდი,
სხვა შეძლების,
სხვანაირად
როგორც კლასი,
ეს ექვსია სოფლ-
მისი მყვლეფი,
მისი მწეწი,
როგორც ქლიბი,
როგორც ხვეწი,
ვით კუნწულა კულაკების
ანუ მავნებელთა კრების,
ვინაც, ნასვამ—დალეულმ
შეძვრება სხვის „ანეულში
და ქონებას
კოლექტივის:
ხორბლის ძნებს თუ
ზვინებს თივის, —
ცეცხლს მისცემენ
და გენიას!...
აბა, სხვა რა
დარჩენიათ
კოლექტივთან
საბრძოლველად
ამ ლეშად ქმნილთ
ბრძოლის ველად?!. ოანისიმე.

ფოთი (ყულევის სახერხი ქარხანა)



მუშა: — ამხ. გამგე, ორი კაცი ვერ აუთავდით მასალების გატანას. მოგვიმატეთ ერთი კაცი!

ცალქარავა: — თუ ვერ აუთავდით განცხადება შემოიტანეთ და გაგანთავისუფლებთ სამუშაოდან.

(„კავალერისტი“)

მეფე-პაიკი ანუ კაპიტალისტური შახმატი

თანამედროვე მეფეები კაპიტალისათვის პაიკებს წარმოადგენენ.

— ამ პაიკის დაკარგვა, იმ ციხეს ჩამაგდებინებს ხელში.

ლეგალური ქრთამი

— რა ამბავია, ლომენტი? ამოდენა ძღვენი სად მიგაქვს?
— შვილს ვუგზავნი ქალაქში... ერთი კაცი სამსახურს მპირდება და ძღვენი გამომიგზავნე, რომ მას მივართვაო!

სპეკულიანტის აღსარება

(ძღვნად ჭიათურის ზოგიერთ მუშებს)

ვაი, სიზარმაცევ, შენ მოგიკვდა მომგონი! დედა, რაფერ დევიღუპე, რავა ჩემის ხელით გამევიჭერი კისერი მე უბედურმა! ვითამ ბალნიცის მოტყუილება მევინდომე, მარა მისთანა მოვტყუილდი მე თვითონ, რომა კი მეყოფა საკრუსუნებლად!

მიდღემჩი ჩემს მამა-პაპას რომ არ გოუგონია, ისეთი მუშაობა დეიწყო ჭიათურაში, ყველა, რავარც ერთი კაცი, ისტე მუშაობს წელებზე ფეხს იდგამს, რომ შრომის ნაყოფიერება ასწიოს და მე კი ახლა დევიწყე სიმულიანტობა!

ვაი, ჩემს პატრონს უბედურს! მაინც და რომ შემიჯდა ეშმაკი და აღარ მომისვენა!

ერთ დილას, ისაა ახალი გადაყვანილი ვარ ერთი სამუშაოდან — მეორეზე, რომ სიზრმაცემ მძლია, დაუძვერი სამუშევარს და წავედი ბალნიცაში. მევიკუტე წელში და შევედი ექიმთან. ისტე დევიჭყანე და გადმოვყარე კეკალ-კეკალი ცრემლები, რომე ვინც კი შემომხედავდა, ყველას ეგონებოდა: ან დიდი გაჭირვებული ავადმყოფი ვიყავი, ან და თოთხმეტი მიცვალებული მედვა სახლში გასასვენებელი.

ექიმმა, ააშენა ღმერთმა, რომ შემხედა გაჭირვებულს, მაშინვე უოჩერეზოთ მიმიღო და ჩამიდგა გრადუსნიკი ღლიავში. ნიკალაევწკი ჯარში რომ ვიყავი, იქანა მქონდა ნასწავლი ამ სიცხის აწევ-დაწევის ოსტატობა, და მიტომ იყო, რომ უქენი შთუქა ამ გრადუსნიკს და უცებ სოროკ პერეოიზე ავაგდე.

უჰ, ძალიან ავადა ხარო!—დეიძახა დოხტურმა და გამწერა ბალნიცაში დასაწოლად.

გამეხარდა აგი ამბავი, რაც მართალია, მართალია! ვიფიქრე პატარას დევისვენებ თქვა, მარა მისთანა დასვენება მიეცა შენს მტერს, მე იქახა დღეი დამადგა!

— ნამეტანი სიცხიანია და საჭმელი არ მისცეთო! — უბრძანა დოხტურმა თანამშრომლებს. საჭმელი არ მისცეთო, რომ სთქვა, გამწვა წელში, ძაგრამ რაღას ვიზამდი! კაცი მგელივითა ვარ, ერთი კამბეჩი რომ მოძიტანონ ჩლიქებიანა შევჭამ და აგენი მეუბნებიან: „არაფერი ჭამოვო"; რა ვქნა, თუ გამოვტყდი და ვსთქვი სიაამდვილე, ხომ გაძიგეს ეშ ძაკობა და საბუდამოთ მომხსნეს სამუშაოდან, არა და ისტევლე გაჩუმება ვარჩიე.

მამარხულეს ასტე: ერთი დღე, ორი, სამი, ერთი კვირა და, რომ გავწვრილდი ძაფივით და სული საცაა უნდა ამევიდეს, მაშვინ კი ვიკადრე და ეევეყვეე დოხტურს: ბტონო გამიშინჯეთ სიცხე, აღარა ვარ ავად და საჭმელი მაჭამეთ, იწამეთ ღმერთი თევა! შემიბრალა დოხტურმა, ააშენა ღმერთმა და ჩამიდგა გრადუსნიკი. რომ ამეილო. და ეევხედე ამ [illegible]ლეელ სიცხეს, შიშით კიღამ იქვე ეფშიკე ფეხეაი! თურმე უჭმელი რომ მაძყოფეს აგი კარგათ მყოფი კაცი, დავსუსტებულვარ, ოუწევია სიცხეს და აგი ტყვილი ავადმყოფი—ნამდვილ ავადმყოფად შევიქენი! ახლა ხომ ჭამაზე ლაპარაკიც მეტი იყო.

ისტე ჩამოვდნი, ისტე ჩამოვხმი, რავარც ფარგა! იმე, ჩამოვხმი კი არა, რეიზა თელათ არ ამომძვრა სული! ხუმრობა საქმე კი არა უჭმელობა! ქვეყანა ჭამიზა [illegible] ბიძია! მე მაინც ნამეტანი—მიმოვიდა! ერთი კვირა ტყუილი ავადმყოფობიზა მამარხულეს, ორი კვირა ნამდვილიზა და ამ ტყუილ-მართალმა ავადმყოფობამ ქე მიმახმო კუჭის ძირი! რალმე გავჭიმე ტყავი!

გევიდა თვე და გამომწერეს ბალნიციდან. გამევედი, მარა რაღაი! ისტე ვარ დასუსტებული, რომე ერთ ნაბიჯს, რომ წინ ვადგამ, ორს უკან ვაკეთებ, ისტე დავქიანობ! ერთი პატარა ზენა ქარი რომ ამოვარდეს სულ თინთიკის ბუმბულივით გამაფრენს, ისტე ვარ გამოფურფუტებული.

ვიარე ასტე: ერთი-ორი ღოე და მერე წევედი სტრახკასაში ხაცდურის ასაღებად. გამომკითხა სტრახკასამ: აქეთური, იქეთური და მითხრა: „ერთი დღე მაინც რომ გემუშავა იმ ახალ სამუშაოზე, მაშინ მიიღებდი ნაცდურსო, მარა ახლა არაფერი აღარ გეჩგებაო!".

დედა, მისთანა შენს მტერს, მე გასაგონი გევიგე! ვიყვირე, შევაწრიალე თელათ ყორისფელი, მარა ვინ მოგაქცია ყურადღება! გამომიშვეს აქეთ ხელცარიელი!

ეს დასუსტებული კაცი სამუშაოდ აღარა ვვარგვარ, ჯამაგირი მე არა მაქვს, სტრახკასა არაფერს მაძლევს და დავდივარ ასტე პირდაფჩენილი და ვყლაპავ ბუზებს!

ვაი, ჩემო დღეო, რავა დამღუპა, და დამაფსო ამ სიმულიანტობამ! სიცხე. არ მქონდა—სიცხე დევიმართე, ავად არ ვიყავ--ავად გავხდი, ბულაჭავით ვიყავი — ჩონჩხივით შევიქენი, წითელი პიმპილსავით ვიყავი და ყვითელი კოჭასავივთ გავხდი! ამ სტრახკასამ ხომ სულ მომითავა ხელი! ერთი კაპეიკი რომაა ჩემს ბარობაზე არაა და რა წყალს მივცე თავი!

დედა, რავა დამეკარგა ამდენი ხნის ნაცდური! ვფიქრობდი, ბიჭო, ამენი ხალხი სიმულიანტობს, აფთიაქიდან ყოველ კვირეში იაშჩიკებით იყრება ტყვილა გამოწერილი წამლები და მოდი მეც გავხდები ავად და ერთ კვირეს დევისვენებ თქვა, მარა მისთანა დასვენება მიეცა შენს მტერს!... დასვენება კი არა სამუდამოთ დევიავადმყოფე თავი! ჯანმრთელობა — ჯანმრთელობათ დავკარგე და ფული — ფულად! ვაი, თავსლაფი დავასხი, ვინც ეს სიმულიანტობა მეიგონა და ამ დღეში ჩამაგდო კაცი! ვყოფილიყავი ჩემდა, ვმუშაობდი გუგულივით, მარა რომ შემიჯდა ეშმაკი და აღარ მომისვენა ვაი, სიზარმაცევ, შენ დაგეფსო თვალები, თვარა მე ასტე არ დევიღუპებოდი! დედა, დედა, დედა! რავა დევიფსე, რავა წამევეგე ანკესზე!...

გოგია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წმენდის კანდიდატი

მთელი რედაქცია ამიხირდეს თუნდაც.
მე ჭამა სმის მადის გახლავართ გენია
მაქვს მოთხოვნილება, ძმავ კოლოსალური„
ვიდრე გვაქვს, ვიხაროთ, — სხვა რა შეგვრჩენია;
არ ვიცი კოიზისი თუ რას ქვია ფულის.
ილებს ბიულეტენს თითქო იყოს ავად
და ძველ კომბინატორს აქაც ტოლი არ ჰყავს.
აფერისტულ საქმეს ისე თავის თავად.
კაცი ვერ გაუგებს კოხტად გამოჩარხვას.
დამზღვევ სალაროდან მას გამოაქვს ფული
ათასგვარ ხრიკებით წლიდან წლამდე, წლობით:
აბა ვის გინახავთ კაცი თავ-გასული,
რომ ასე ცხოვრობდეს, სულ მამაძაღლობით?
მიავლინეს მოსკოვს. და შეიშნო მან ეს:
ორი კვირის ნაცვლად დაჰყო კვირა შვიდი.
და გამოუყვანა ორი ათას მანეთს
მან სამოქალაქო წირვა-პანაშვიდი.
ლაპარაკში ცეცხლი — საქმეში კი მკვდარი.
(ამ ჩვენს აპარატში სხვაც კიდეა ბევრი)
მუდამ ღმერთს ფიცულობს, ამავე დროს არის
ულმერთოთ კავშირის აქტიური წევრი.
თან კულტმუშაობას ხელს „უწყობს“, ის მაგრამ
ხშირად კი უთქვამს არავის დავზოგაო,
და კედლის გაზეთში, როცა მოსცხეს მაგრად
ადგილკომი მოხსნა იმან ამის გამო.
თუ პოლიტიკაზე ვინმე რასმე ჰკითხავს
(ან და სულერთია დაასწრებს ის თითონ)
ტროცკიზმს, რომ აძაგებს, უკლონისტებს ჰკიცხავს,
ერთის ან მეორის ესმის რამე ვითომ?
კულტრევოლიუციის საკითხებზე მსჯელობს
ნამდვილად მასთან კი — განწყობილია მტრულად,
ალკოგოლის მიმართ აწარმოებს ბრძოლას
თითონ კი ითვრება არალეგალურად.
წმენდის შიშით „საწყალს“ ყოველ წუთს აციებს
მაგრამ აქვს იმედი „შიშკა“ ნაცნობების,
და სხვებზე ეწევა კი პროვოკაციებს.
რათა შეაგროვოს მან ყალბი ცნობები.
ჩვენ წარმოებებში ბევრია ასეთი
კარგად გაუსინჯოთ კბილი „ვაჟბატონებს“
რომელთაც არ შველით, პრესა და გაზეთი
რომელნიც მუშაობას ხელს უშლის, აბრკოლებს.

შდონ—კიხოტი.

სადგ. ხრესილი

ნადისთავმა ვარლამ დევდარიანმა ღვინის სმასა და ინტრიგანობაში გამოიწვია სამუილ შუშაშვილი.

(ხრესილელი ბზიკი).

დაიცავით

(ჰიათურა, სოფ. პერევისა)

რას ჩადიხარ, მოქალაქე
სიმონ მოდებაძე?
სად ისწავლე ეგ მოქცევა
ანდა ვის მიბაძე?
თვალცრემლიანს, ფეხშიშველას
შენს მოჯამაგირეს,
(თავის ბედზე რომ ჩიოდა),
ვესაუბრე კვირეს.
სთქვა: „სახელი დავით მქვია,
კუპრაშვილი გვარათ,
მტანჯავენ და აღარ მიღირს
მე სიცოცხლე ჩვარად.
რვა თვე არის სიმონთან ვარ,
ცუდათ ვიკვებები;
აობებულ პურს მაჭმევენ,
ავათა ვარ, ვკვდები.
ზოგჯერ სულაც მშიერი ვარ,
მაშინ, როცა თავათ
ცალკე ოთახში ქეიფობს
ჩემ გულმოსაკლავათ.
ტანზე საცმელს გადმომიგდებს
შვილის გამონაცვალს.
არც დაკერავს დახეულებს,
არც მირეცხავს საცვალს.
ჯერ არც ფული მიმიღია,
არც იძლევა რამეს,
უშვერ სიტყვით იგინება,
მლანძღავს დღე და ღამეს.
მივატოვებ ჩემს „ხაზეინს“,
შივაშურებ მამას“.
ესა სთქვა და აქვითინდა,
სხვაც უმზერდა ამას.
მე ვფიქრობ, რომ მოდებაძე
თვით მიხვდება იმას...
ტარტაროზი რომ უშოვნის
სათანადო ბინას.
მოჯამაგირეთ კავშირო,
გაახილე თვალი,
დაიცავი კუპრაშვილი,
იგრძენ შენი ვალი.

„ტაბშალლენ“.

არშაკას სასადილო

(მცხეთა)

შიგ მუშა ვერ სადილობს...
კერძი იცე ძვირია,
შიგ ვერ შეგვაქვს ცხვირია.

სუპი ხარჩოთ გვეძლევა,
ბორშჩი კიდევ—ხარჩოთა
ძვალმა არ დაგახრჩოთა.

თვეში ერთხელ თუ მოაქვს
ნიახური, მაკიდო...
პრეტენზია აქვს კიდევ.
ცეცხლს უკიდებს ყველაფერს...
ვინც კი რამე შეჭამა,
ნეტავი არ ეჭამა.

ვაჭარია ის კერძო.
თავს გვამადლის ბაქითო,—
დროა ბარგი ავკიდოთ!

მ. გიგოშვილი.

ჩვეულებრივი ამბავი



—რა ამბავია ნეტავი, რომ ასეთი ყვირილი ისმის?
— ალბად ბუშხალტერთან მუშა შევიდა და რამე ჰკითხა!

ოზურგეთი

ალი მოედო ქალაქის ქუჩებს...
პროკოფი ვერას აწ ალარ ირთავს...
გერონტი თურმე მეაბეს უშვებს.
დათიკოს ბნედა მოსდის ზმორებით,
ველარ აუდის „მოწოლილ“ საქმეს,
ტახშარო ძილშიც რომ ველარ ნახა,
კაბინეტიდან სულ მუდამ აქებს.
მეეტლები თუ „სიფათს“ ითვლის
მეეტლები თუ „სიფათს“ ითვლის
და ჩავლადრებიც არ რჩება მარტო,,
ფართე პროსპექტზე „დუშკა“ „გავებით“
მიჰქრის კომხოზის ობოლი ავტო...
ცოლი — კურორტზე, თითონ—კაბინეტში.
ჯავრს ველარ უძლებს საწყალი ილო;
ოჰ! მემანქანევ, აქ მოდი ჩვენთან,
„იგინი“ „დე“ და—ჩვენ ერთად ვიყოთ...
თუმცა შეტევა ეხლაც გრძელდება
და წინ მიიწევს ეს „რაინეპო“
კერძო ვაჭრებიც მედგრად არიან,
უპასუხებენ: „გვაკმარეთ, გვეყო“.
ძაღლებთან კომბოზს თუ მოსდის ომი
და სანიკომიც ილესავს კბილებს,
მით „ყურპანტურა“ მთლად გულმოსული
„წმინდა“ ქუჩებში ქვაფენილს იკლებს.
თუ ექიმკომი ოფლში იწურვის,
დამზღვევ სალაროს გაუხდა „ზავი“
ოჰ, შვებულებავ, მოკვდი, გავთავდი,
და წინ მიიწევს ეს „რაინეპო“
კურორტ - ბახმაროვ, მოგიკვდეს თავი.
კაბინეტიდან სულ მუდამ აქებს.
რომ სარეწკოპმა გახსნა დარაბა
და შიგ მოაწყო ანტონი ძველი,
ამაზე, ჩემო ძმაო „ტარტაროზ“
სახელმძღვანელო აზრს შენგან ველი.

ულაპაძე.

ქუთაისიდან

ქარბუქი გადავიტანე,
ალარა ვგლოვობ, ალარა,
დეე, ქალაქს გაეხმაუროს
„შიხლინსკი ბომბი“-ს ნალარა.
თეატრი დაყუდებულა
გულქვად, გულცივად, ლოდივით,
როდის მოვესწროთ შენობას,
გული სწუხს ცდით და ლოდინით..
წვიმის დროს თქეშით ჩამოდის,
სცენის სარდაფში წყალია;
სუყველა უმადურია;
ანდრო, მანუელ, ალია.
ელნათის მავთულ - ხლართები
ტიტვლდებიან და ლპებიან,
სიტყვების რახა-რუხია,
მოგცემთო — გვეუბნებიან.
სახანძრო იარაღები
სტირიან, იცრემლებიან,
დარასელიას აქტები
გულში არავის სწვდებიან.
უჯრები იტენებიან,
გამგე სწერს მოთხოვნილებებს,
საქმე ზევიდან ბოგინობს,
ნეტავ, რას იმადლებიან?!?
აგაშენებთო — პასუხათ—
მას ხშირად შეპირებიან;
ეტყობა დაპირებანი,
როგორც სიზმრები, ქრებიან.
„გოქეურა“-ზე გაგვიხსნეს
პაწია კოოპერაცია.
ნუცუბიძეა იქ გვარათ,
ისე კულაკი კაცია.
ხელობით ძველი ვაჭარი,
გკადრებ, ლეონტი, ძამია,
რათ ველარ მიხვდი: გაფრინდა
ძველი დრო, ძველი ჟამია?!
ლეონტი! ჭკუით იყავი,
წლები გახსოვდეს წასული,
ფარცხანაყანევს იციან
შენი დოვლათი წარსული.
აქ სააგურე ქარხნებზე
ვის რა „ეპუდრებ - დუხება“.
ეპოს სიმინდი მოსთხოვე,
თავს ჰკადრე შენ შეწუხება.
„ბოეცში“ ვასოს სალამი,
ნოქარო, თმა-ქოჩორაო,
არშიყობისა მადა გაქვს?
თავი დაიჭი სწორაო.
წევრის გარეშე რომ ჰყიდი
საქონელს, საქმე რაშია!?
ნუ გხიბლავს ქალიშვილების
„პრიჩოსკა“, თეთრი არშია.
სად კულაკები, ბურჟუა,
სად მუშათ, კოპერაცია?
კავშირის წევრი, ნოქარი
და სად ეს კომბინაცია?!?

„შიხლინსკი ბომბ“.



— გამარჯობა შენი, ძმობილო! წამილე ეს ბარგი... ვერ მიცანი, შე კაი კაცო?!..

ბლეხი: — როგორ ვერ გიცანი! ამას ჭინად შენ არ იყავ, რომ ერთი კვირა მაცდევინე ქალაქში ცნობის მისაღებად? მეც არა მცალია ეხლა!

წერილი დიაკვნისადმი (ოზურგეთისთვის)

„გამარჯობა ჩემო ათანასე!

როგორ ხარ, კაცო? რატომ დამივიწყე? ნუ თუ დაგავიწყდა ძველი დროი, როცა შენ ჩემი დიაკვანი იყავი? მიუხედავად იმისა, რომ მე მღვდელი ვიყავი, მთელ საეკლესიო შემოსავალს შუაზე გიყოფდი. ნუ გეშინია არ გვქონდა ერთმანეთს შორის ჭიშპობა, როგორც სხვებს.

— მე თუ მიკითხავ, ძალიან კარგად ვარ. უკვე დიდი ხანია მოვეწყვე სამსახურში. გახსოვს რომ მეუბნებოდი, როცა ეკლესია დაგვიკეტეს: დამეკარგა ყველაფრის იმედი. ეკლესია დაგვიკეტეს, მუშაობა ცოტა არ იყოს მეზარება! ნუ გეშინია არ მიგვიღოს ვინმემ სამსახურშიო“? — შენ არ იზიარებდი ჩემს იმედებს. მე მაქედან რომ წამოვედი, იმ დღესვე განვაცხადე გაზეთში: „სამღვდელოება ხალხის დამბეჩავებელია, დღემდის ჩვენ ხალხს ტყავს ვაძრობდით, ვატყუილებდით, აწ კი მინდა „პატიოსანი“ შრომა. დღეიდან ხელს ვიღებ მღვდლობაზე და ვიძრობ ანაფორას-მეთქი“ (აბა სხვა რაღა ეწყობოდა!).

არ გასულა ერთი კვირა და სამსახურში მოვადინე ფხეკა საქმის მწარმოებლის თანამდებობაზე. თვეში — 120 მანეთს ვღებულობ და ვცხოვრობ ძველებურად, უდარდელად.

განა მარტო მე მოვეწყვე სამსახურში? არა ჩემო ათანასე! ოზურგეთის წარჩინება- დაწესებულებები მთლად გავსებულია მღვდლებით.

ანდა ოზურგეთის ყოფილი მღვდელი სოლომონ ანდღულაძე. სოლომონმა მაინც ძალიან სახრავი ლუკმა იშოვა. საფეიქრო ნადი „მაქვა“-ს გაძგეა. ხალხის ტყავის გაძრობაში არც იგი ჩამორჩებოდა სხვებს უწინ და არც ახლა ივიწყებს თურმე ძველ ხელობას. სჭამს ოხრად არტელის ქონებას თურმე. არტელის წევრებს მაქვასავით ათამაშებს (მგონი აქედან წარმოსდგა არტელის სახელწოდებაც). ამას წინად რევიზიამ დანაკლისიც-აღმოაჩინა თურმე; გაზეთშიც კი დასწერეს, მაგრამ, შენც არ მომიკვდე,*) ვერაფერი დააკლეს.

კარგად მოეწყო ექადიელი მღვდელი სერგიე გალოგრეც „ეპოში“ საქმის - მწარმოებლად.

შემოქმედელი ბლაყოჩინი ბარნაბ მახარაძე ოზურგეთის ჯანგანყოფილებაშია.

ჩოხატაურის ყოფილი მღვდელი მელიტონ ქავჯარაძე მასწავლებლადაა ოზურგეთში პედაგოგიურ ტექნიკუმში. (მან ჩვენზე უწინ დანება თავი მღვდლობას; ალბათ ადრე მიხდა ეკლესია რომ დანგრევის პირზე იყო მიმდგარი).

გადაეცი ნევრონ ტუსკიას და ეპიფანე ჩხაიძეს, ჩამოვიდენ ოზურგეთში. ნუ თუ ისინიც ვერ მოეწყობიან სამსახურში, სადაც ჩვენ ამდენი მღვდლები მოვეწყვეთ?

დღეს აქ ჩამოვიდა შენი ცოლისძმა ჩარჩი სტეფანე. დუქნები უკვე დაუკეტავს. (ნალოგებს გაუძრია ტყავი). ეხლა სამსახურს ეძებს ოზურგეთში. ძალიანს ვხლაფორთობ, ძე კი იმედი მაქვს, რომ იშოვის, სხვაგან თუ არა კოოპერატივში მაინც (ოზურგეთის კოოპერატივი ხომ ძველი, გაკოტრებული ვაჭრების ბუნაგია!) ეხლა დაეხმარა გაჭირვების დროს, ალბად, დაეხმარებიან ძველი ამხანაგები (ხომ გაგიგონია „ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევსო“).

შენც თუ ჩამოხვალ, სხვაგან თუ არა ჩემთან შიკრიკად მაინც დაგნიშნავ. შენ კი არა, ვალოდიე ესაძე არის სამსახურში. (ხომ იცნობ ვალოდიას ნიკოლოზის დროს პოლიციის მოხელე რომ იყო? მენშევიკების დროს ოზურგეთის გვარდიის წევრი და ქალაქის ძილიციის უფროსი რომ იყო და შავ დღეს აყენებდა კომუნისტებს!) ეხლა იგი სამფინგანის საქმის მწარმოებელია.

რა ვიცი კიდევ რამდენია ოზურგეთში ჩვენისთანები სამსახურში.

ხომ გახსოვს ჩემო ათანასე! რამდენი ქონება გვვიტაცეთ ეკლესიიდან. მე მეგონა გამამჟღავნებდი კიდეც, რადგან ქონება შენდა არ გამიყვია „მთლად კანონიერად“. მადლობელი ვარ, ათანასე, რომ ასე შეინახე ჩემი საიდუმლოება. ბოდიშს ვიხდი, რომ ასე ჩამოვარდნილ კაცს ვერაფერი დაგეხმარე, პატივი ვერ გეცი, მაგრამ, თუ ეხლა სახელმწიფო აპარატის წმენდას გადაურჩი ჩემზე იყოს სამაგიერო.

მამა იოანე“.

*) ათანასემ წერილი თავიდან ბოლომდე გულდასმით გადაიკითხა და მაგრად ამოიოხრა... ეხლა უნდა მცეს პატივი მამა იოანემ. ამდენხანს არაფერი სიკეთე უქნია, თორემ აწი რაღა უნდა დამეხმაროს, როცა თვითონ დასახმარებელი იქნება. ნუ თუ ისინი კიდევ გაურბიან ეხლა აპარატის წმენდას? — წარმოსთქვა ნაღვლიანად ათანასემ და დახეულ ქალამნებს დაუწყო კერვა. **ტალი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლ. საპარიკმახეროში

(სამტრედია)

პარიკმახერი: — მაგ ჩეკით გინდა მოიპარს-გაიკრიჭო მაგ გაჯეჯილი თმა და წვერი?

მუშტარი: — ჩეკი რომ ავიღე, ცოტა მქონდა, და რიგზს მოლოდინში გამეხარდა!

(მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა)

ბუკის - ციხე

ამას წინედ გაიმართა სრულიად ბუკის - ციხის მოქეიფეთა პირველი ყრილობა ცენტრ. გლეხკომის შენობაში.

საანგარიშო მოხსენებით გამოვიდენ: გლეხკომის გამგე თ. სიხარულიძე, კოოპერატივის გამგე ვ. სიხარულიძე, სკოლის გამგე გრ. ოსეფაიშვილი და სარევიზიო კომისიების თავმჯდომარე კ. შარაშიძე.

საკრედიტო განყოფილების თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მას თავისი პირადი საჭიროებისათვის გაუტანია საკრედიტო ამბანაგობიდან მოსულ საქონლის 50 პროცენტი. (მომავალში ეს ნაკლი გამოსწორდება და გაიტანს მთელ ას პროცენტს).

კოოპერატიის ხელმძღვანელ ვასილ სიხარულიძეს უცემია 420 კაცისათვის (თემში კი 800 სული მცხოვრებია) და გაუფლანგავს მხოლოდ 500 მანეთი.

სკოლის გამგემ აღნიშნა, რომ სკოლას დიდი მიღწევები აქვსო;

„უცოლ - ქმაროდ დარჩენილია მხოლოდ ორი მასწავლებელი, რომელნიც ამ მოკლე დროში შეუღლებიან და ამრიგად ჩემი აქტიური ხელმძღვანელობით სკოლაში სულ შვიდი ცოლქმარი იქნება“.

რაც შეეხება სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს, კარლო შარაშიძეს, ის აღნიშნავს, რომ „მთელი ერთი წლის განმავლობაში სულ სმა ქეიფმა მომიწია 365-ჯერ. ამ ქეიფში ყოველთვის იყვენ გრიშა ოსეფაშვილი და ვას. სიხარულიძე, რაც შეეხება თეოფილეს, ის სამჯერ დააკლდა ქეიფს, რადგან საკრედიტო ამხანაგობიდან დრო არ ჰქონდა. (ყრილობა საჭიროდ სჯნობს შემოღებული იქმნას საქონლის გაპარებას აწარმოებდა და მეტი დისციპლინა და ქეიფს არავინ დააკლდეს).

ყრილობა „მრავალ-ჟამიერ“-ით დაიხურა.

რატატა.

ნ ა წ ყ ვ ე ტ ი

(მარანი, სენაკის მაზრა)

აქ ფარდულში პარკისა
ამ თვეში და ამ დროში
მუშაობდა ანეტა
თითქმის ყოველ სეზონში,
მაგრამ გამგე ფარდულის
ერთობ მოსარიდია,
მას კანონი შრომისა,
სჩანს, რომ ფეხზედ კიდია.
და ანეტას, მუშა ქალს.
უშვებს გარედ დავითი,
პროტექციას წყეულსა,
გზას უკაფავს ამითი.
მეორე დღეს ფარდულში
პროფ-კავშირის არაწევრს
სამუშაოდ აგზავნის,
ახალ კოდექსს იგონებს!
აქვე გლეხიბს ფარდულში
პარკი მოაქვთ ურემით,
ბესარიონს ყველანი
იხსენიებს ნდურებით.
თუ არ გიცნობს, შენს ჯარკას
შეეცვლება ხარისხი,
კაცი ცუდათ გამოყავს,
არ რცხვენია ამისი.
აქვე მოანგარიშობს
ჯანელიძე გოგია;
ორ სამსახურს თუ მიცემ,
უკადრისი როდია?
არის მასწავლებელი,
გამგე ოთხი წლედისა;
კმაყოფილი არ არის,
მაინც თავის ბედისა.
ჩვენს პროფკავშირს წევრები
უსაქმოდ დარჩენია.
გოგის ჯდომა ორ სკამზე
დღესაც არ მოწყენია.
ადგილკომი კოწია,
ნეტავ ვის ერიდება?
თვალით ხედავ სიმრუდეს,
შენ კი ხვრელში მიძვრები?!
აწ შენ იცი, ტარტაროზ,
მოდი ჯარით, ამალით,
ყველას გამოუწერე
შესაფერი წამალი!..

ლიუბიმოვი.

ჩ ა მ წ ა რ დ ა

გამარჯობა, ესტატე!!... რავა ხარ... სად დეიკარგე, ბოშო, ამდენ ხანს, რო არსად სჩანხარ?..

— ზესტაფონში ვიყავი, ბიძია, ზესტაფონში!

— აპა, შენ, ბიძია, ცხელცხელი ამბები გეცოდინება, თუ კაცი ხარ, ჩამოჯექ აგერ და ყველაფერი გამოკაკლე თავიდან ბოლომდე..

— რა გიამბო, ბიძია, თელი დღე პროფკავშირში ვიყავი ატუზული ესოკრისტეს ჯორივით და რაი მეცოდინება..

— რეიზა, ბოშო?

— რავა რეიზა, ბოშო, ერთი წელიწადი უმუშევარი ვარ, მეგონა ახლა მეშველა თქვა, რაცხა სამუშავრები გახსნილა, აქანა ჩამაკვეხებენ მე თქი, მაგრამ, არ შეგჭამოს ჭირმა... ქე მოვდივარ უკან ყურჩამოყრილი.

— კაცო, იმხელა მაზაღიაა იქ გახსნილი, რაცხა გუზგოსტორგიაო, იქინე ქემაინც ვერ ჩაგაკვეხეს, ტყვილა ხარ, ბოშო, თეთრსიელი და პროფკავშირის წევრი?!

— არა, ძმაო, იქინა, რომ მიგილონ, ამისთვის შავსიელი და არა კავშირის წევრი უნდა იყო! ტყვილა ჩავეწერე პროფკავშირში...

— მაგრამა შეიძლება!... კავშირის არა წევრს და შავ სიელს სამსახურში ვინ მიიღებს!?

— თუ არ გჯერა, ბიძია, ჩეირბინე ხვალე და ქე გეიგებ ყველაფერს!..

გილი.

ახალგაზრდა მხატვართა გვერდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცუდი სიზმარი

ნახ. ბახტაძის სამტრედია

— ნუხელის ცუდი სიზმარი ვნახე!
— მეც. ალბად ქუთაისიდან ავტობუსი ჩამოვა და ყველა მგზავრებს წაიყვანს.

კრიჟანგი ბუნება

ნახ. ...ასეევის. ტფილისი.

— რა საუცხოვო ხალამოა! ბუნებას ყველაფერი უხვად მოუცია!
— გარდა სამსახურისა, რომელიც წმინდამდე მქონდა!

იმედი

ნახ. გ. ლილუაშვილის ზესტაფონი

არჩევანი

ნახ. კიკილოს. ბორი.

— კაცო, სამსახურში კიდევ ვერ მოეწყვე?
— ჯერ ვერა, მაგრამ აი გატარდეს წმენდა და ადგილიც ბევრი გამოჩნდება!

— არ ვიცი რომელი დავლიო, ამბობენ: ორივე საფალარათოაო!

კოოპსასადილოში

ნახ. კიკილოს. ბორი.

— აკი ერთ ბოთლზე მეტს არ იძლევიანო!
— ჩვენც ხომ თითო ბოთლზე მეტი არ გვიდგას სუფრაზე!

სწორი პასუხი

ნახ. ოთხოზორიანი. ზუგდიდი.

მასწ.: — ქართულ ენაში იხმარება თუ არა „უდარენიე", ხმის ამაღლება?
— როგორ არა! როცა მოწაფეზე გული მოგიგვათ, აკი შეუკურთხებთ!

„გულადი" მილიციელები

ნახ. ფეშოს. კახეთი.

მილიციელნი: — ბიჭებო, თავს ვუშველოთ, ყაჩაღები გამოჩნდნენ!

ჯოჯოხეთის კუთხე

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმუშევართა ბრძელი რიგია...
ლამაზებს ეტრფის მათე ჯიქია...
მიწტყის კავშირის ღმერთი იგია...
ეს საქმე მისთვის ჩვენ ვერ გვიქია.

როდესაც „დიდი კაცი“ პატარა თანამდებობაზე არის ის ვერ თავსდება თავისს ფარგლებში და ცდილობს სამოქმედო ზღუდეების გადალახვას — იმპერიალისტური გზით ტერიტორიის გაფართოებას.

ასე ემართება ზუგდიდის მიწა - ტყის კავშირის თავმჯდომარეს — **მათე ჯიქიას.**

ეს კაცი ადმინისტრაციის საქმეშიც კი ერევა.

მაგრამ ბევრ ასეთ ნაკლთან მას, თურმე, იმდენი დადებითი მხარეები აქვს, რომ მას ნაკლზე ლაპარაკი არც ყი ღირს.

მათე კავშირის უმუშევარ წევრებს უარს ეუბნება სამუშაოზე გაგზავნაზე, ამ დროს კი „ცუგრუმელა ქალებისათვის“ ადგილი შემონახული აქვს.

(„კაკლარი“)

ნეთე თავს იმართლებს და ამტკიცებს:

— აქ არავითარ პროტექციასა და „იმას“ (ამ „იმას“-ში რას გულისხმობს, მათე არ ვიცით) არა აქვს. ჩვენი პარტიის ხაზია — წარმოება - დაწესებულებებში რაც შეიძლება მეტი ქალები ჩავაბათ. მაშასადამე, ჩემი პოლიტიკა ლარივით სწორია!

დიახ, ასე მსჯელობს მათე და ასეც იქცევა:

— საშიკო, შენ ხვალ დილით მოდი. ისე შემოდი, რომ მაინცდამაინც ნუ დაგინახავენ უმუშევრები, თორემ ხომ იცი, როგორი ანტიფემინისტები (ქალების მოწინააღმდეგე) არიან! ისე ყოველ შემთხვევაში დაწვრილებით მოსალაპარაკებლად საღამოს გამომიარე სახლში ხომ იცი ჩემი ბინა — ლიუკსემბურგის ქ. პახვალა გულორდავას სახლი.;

აბა ვნახოთ, თუ მართლაც ძველებურ ხასიათზე იქ[illegible] ია დაამღერეს:

გაზეთში ჩაწერისათვის
თავი არ გამიქია.
ვინ რას დამაკლებს ნეტავი?
ბახლავარ მათე ჯიქია.

ველისციხე... ველისციხე...
ასეთ „ბატონს“ ელის ციხე

კიდევ მეორე მაგალითი იმისა, რომ როცა „დიდი [illegible]“ პატარა თანამდებობაზეა„ თავისს ტყავში ვერ ეტევა.

შეიძლება პირიქითაც იყოს: როცა პატარა კაცუნა დიდ თანამდებობაზეა, მეტისმეტად იჭიმება, იბერება და. ხშირად კიდეც სკდება საპნის ბუშტივით.

ველისციხეში უწინ რომელიმე თავადი იქნებოდა მეუფედ. თავადები დიდი ხანია ჩაბარდენ წარსულს. მაგრამ იაქ-აქ „ახალ მოდის“ თავადები ევლინებიან ჩვენს სოფლებს ზოგიერთ აღმასკომის თავმჯდომარეების სახით.

ამისი ერთერთი თვალსაჩინო მაგალითი გახლავთ ვარსემაშვილი.

ვაჟკაცი კაცია ვარსემაშვილი. ის არ უნდა კადრულობდეს, რომ მას ცხენზე შეჯდომის დროს სხვა შველოდეს და უზანგს უკავებდეს. მაგრამ მეჯინიბე ვალდებულია მას უზანგი დაუმაგროს.

არა მარტო თავისს სამფლობელოში არის ის ამაყი და მრისხანე, — რკინის გზებზედაც „დიდი კაცია“.

მას შეუძლია მაგარი რონოდის ბილეთით იმოგზაუროს რბილი რონოდით, აგინოს რკინისგზელებს, არ დაემორჩილოს მათ და... და როგორც მოიპრიანება ისე მოიქცეს...

აი ასეთი გულადია ვაჟკაცი ვარსემაშვილი, რომელსაც არ აშინებს არც ერთი წმენდა.

საქმე არის ადგილი.
შეუცვალეთ ადგილი,—
ნეტავ არის რა ჯურის?
კუჭუხიძე მსაჯული,

ახირებული ამბები ხდება ამ ქვეყნად.

მოსამართლეს, მსაჯულს ჰგონია, რომ საბჭოთა კანონები შეეხება ყველას, გარდა თვით მოსამართლისა.

მაგალითად, ასე ფიქრობს და მსჯელობს ქუთაისის სახალხო მოსამართლე **დ. კუჭუხიძე.**

ამ მოსამართლეს თავისი თავი საბჭოთა კანონების უმაღლესად წარმოუდგენია.

— მოსამართლე ვა, მე სხვებს ვასამართლებ; ვინ რას გამიბედავს! — ასე მსჯელობს კუჭუხიძე.

— მოსამართლე ვარ, მე სხვებს ვასამართლებ; ვინ ვადებს. ამიტომაც ჩხეიძის ქალს ერთი თანამდებობა არ აკმარა და მეორე გამოუნახა. მაგრამ ამ გამონახულ ადგილზე დახვდა ასლანიძის ქალი, ხელმოკლე ადამიანი.

„მართლმსაჯულმა“ მსაჯულმა მოხსნა ასლანიძის ქალი და მის ადგილზე წამოასკუპა ჩხეიძე.

— დაბრძანდით, ჩემო მშვენიერო. არხეინად იყავ. ვერვინ ვერაფერს გაგიბედავს.

— რომ გაასაჩივრეს ასლანიძის ქალმა!? — შიშობდა ჩხეიძე.

— მერე რა! მოსამართლე მე ვარ. ჩემს საქციელს კანონიერად ვსცნობ, მორჩა და გათავდა! — დაამშვიდა მოსამართლემ უსაფუძვლოდ შეშინებული თავადიშვილი.

სათანადო ორგანოებმა აღადგინეს ასლანიძის ქალი.

გაბრაზებული მოსამართლე მეორეჯერ ხსნის ასლანიძის ქალს.

ნუ თუ ისე დიდი მანძილია მოსამართლეს სავარძლიდან ბრალდებულის სკამამდე, რომ კუჭუხიძემ ამდენხანს ვერ მიაღწია ბრალდებულის სკამამდე?

შემწვარი ინდაური
და ნიკოლოზ აზნაური

ბევრს ნიშნავს გამოცდილება. ჭკუასა და ძოხერხებას გამოცდილება ქმნის.

მაგ. უწინ მღვდელთან ყოველივე საქმის გაკეთება ადვილად შეიძლებოდა, თუ შემწვარი გოჭი ან ინდაური მზად იყო.

მღვდელმა კოტე ანთაძემ ეს თავისი პრაქტიკიდან იცოდა, და ეს გამოცდილება თავისს ძმას ნიკოლოზსაც ასწავლა.

— ბიჭო, მაგის მეტი მიხდენა არა გაქვს? შეწვი ერთი ინდაური, გააცივე ღვინო, დაუძახე ჩვენი აღმასკომის თავმჯდომარეს და მაგ მიწას უკანვე დაგიბრუნებს!

ნიკოლოზს ჭკუაში დაუჯდა გამოცდილი ძმის დარიგება და დარიგებისამებრ მოიქცა.

გაწყობილ სუფრას, რომელიც აკურთხა კოტემ, თავში შემოუჯდა აღმასკომის თავმჯდომარე...

რაღა ბევრი გავაგრძელოთ (გვეშინია ზოგიერთ თავმჯდომარეებს არ აეშალოთ საღერღელი შემწვარ ინდაურის ხსენებაზე), შემწვარი ინდაური ისეთი გემრიელი გამოდგა, რომ ჩამორთმებული მიწა, რომელიც მიაკუთვნეს სოფ. ვარძიის (ზესტაფონი) სკოლას, დაუბრუნეს ყოფილ პატრონს აზნაურ ანთაძეს.

ამის შემდეგ ვინ იტყვის, რომ ინდაური (და ისიც შემწვარი), არ არის ძვირფასი საქონელი?!

მაგრამ ჩვენ ის გვიკვირს, რომ ინდაური ინდაურს როგორ სჭამს? (აკი იტყვიან: „ძაღლი ძაღლის ძვალს არ დახრავსო“).

არ სცალიათ!

(სადგ. ჟუთაისი)



პირვ. რკინის-გზელი: — ამბობენ, დღეს ყავშირის ვრება არისო!
მეორე: — მერე-და განა გვაქვს კი კრებაზე დასწრების დრო?!

(ვ. ნოფ.)

გავარდა პარტიიდან

— აფროსაძე!

— აქ ვარ!

— გამოდით და გვიამბეთ ყველაფერი.

ბიოგრაფია დამაკმაყოფილებელია: კაცი დაბადებულა, გაზრდილა, უმუშავნია, მუშაობს, პარტიის საქმეს ემსახურება.

ყველაფერი იმას მოწმობს, რომ ეს კაცი სუფდად გავა წმენდას, მაგრამ...

— ამხანაგო თავმჯდომარეე, მე ვაქვს ატვოდი, მაგას დიდი დანაშაული მიუძღვის, გახრწნილი ელემენტია! — იძახის ერთი, საკმაოდ აქტიური მუშაკი.

— სთქვით!

— შარშან ამ დროს ეგ მე ვნახე ორთაქალის ბაღში, ღვინოს სვამდა...

— მერე?

— ეგ ესადამე ეგ გაუსწორებელი ლოთია!

— ვინ დაამტკიცებს მაგას?

რამოდენიმე მუშა აცხადებს, რომ აფროსაძე ლოთი არ არის.

— ამას გარდა, — განაგრძობს პირველი, — ეგ ყმაწვილი მე ვნახე ერთ ოჯახში, სადაც ლეკურს და შაქილას თამაშობდა, აქედან ცხადია, რომ მომავალში, ფოქსტროტს და ჩარლსტონსაც იცეკვებს და საბოლოოთ გადაგვარდება!

დარბაზში იღიმებიან.

— მეტი არაფერი გაქვთ საბუთები?

— როგორ არა, ატვოდები ბევრი მაქვს... მაგალითად, ამას წინად ბაღში ვნახე, ბალერინებს უყურებდა, წვრილ ბურჟუაზიულ ელემენტებში იჯდა და ობივატელივით უკ[illegible]და ტაშს...

— კიდევ?

— ამას გარდა, მენშევიკების ბატონობის დროს ეგ მსახურობდა სამინისტროში და ჯამაგირსაც იღებდა.

— რა თანამდებობას ასრულებდა?

— მოანგარიშეთ იყო, მერე საქმის მწარმოებლათ, მერე ისევ მოანგარიშეთ. ეს მე ჩემი ძმიდან გავიგე, ის აქ იყო მაშინ.

— თქვენ სად იყავით იმ დროს?

— მე? მე რუსეთში ვიყავი...

— რას აკეთებდით?

— მე—ე? არაფერს... ისე ვიყავი...

— სად მუშაობდით?

— არსად...

— მაშ როგორ ცხოვრობდით?

— ისე... ვცხოვრობდი საერთოდ...

— როგორ თუ საერთოდ, აბა თქვენი ანკეტა ვნახოთ... აჰა, აქ სწერთ, რომ ჯარში მუშაობდით, აქაც ვიღაცას შენიშვნაა თქვენზე. (კითხულობს). ეგ რა ამბავია, აქ სწერია, რომ თქვენ დენიკინის არმიაში ყოფილხართ!...

— ტყუილია... ცოტა ხანს ვიყავი, არც არავინ მომიკლავს... მე თავიდანვე ბოლშევიკური იდეები მქონდა...

— რამდენი ხანი იყავით დენიკინთან?

— ორიოდე თვე... ისიც ძალით წამიყვანეს... მე ბოლშე...

— აქ სწერია, რომ ერთ წელზე მეტი იყავით და აქტიურადაც იბრძოდით!

მე თავიდანვე ბოლშევიკი ვიყავი... მე აქტივისტი ვარ, ავიოქიმის წევრიც ვარ... პარტსაწევროს თავის დროზე ვიხდი, საშეფო უჯრედშიც ვმუშაობ...

— მაშ თქვენ თეთრგვარდიელი ხართ და პარტიაში შემოპარულხართ?

— არ შემოვპარულვარ, შემოვედი... აფროსაძე ჩემი მტერია, ატვოდი მაგის იქნება...

ყოფილი თეთრგვარდიელი გავარდა პარტიიდან.

აფროსაძე? — წარმოიდგინეთ, დასტოვეს.

სიტი.

„პენსიონერები"

— ერთი წელი არც [illegible]...

გურჯაანში მოვხვდი შეცდომით.

ეპოს სასადილოში თავი ვერ შევიყავ და რკინის გზის ბუფეტისაკენ გავეშურე.

აქ უკვე უნახავი რამ ვნახე: პენსიონერი რკინისგზელები ვაჭრები გამხდარან და დახლში ტრიალებენ.

მივესალმე ერთს. ამბავი გამოვკითხე. ცოტა ცხვირის წვერი გაწითლებია.

— ხომ ხედავ, ძმაო, კარგად ვართ, ვცოცხლობთ. მე და ჩემმა ღმერთმა, რომ მცოდნებოდა ვაჭრობა, განსაკუთრებით კი მიკიტნობა, ან და ბუფეტჩიკობა ასეთი კარგი იყო, დაბადების დღიდან ამ ხელობას მოვკიდებდი ხელს! — კმაყოფილებით მიამბო მან.

აქ არიან ყოფილი რევიზორები, კონდუქტორები, სადგურის უფროსები და სხვები.

ტფილისში სასადილო გაუხსნიათ „წითელი რკინისგზელი". საგარეჯოსა და გურჯაანში ბუფეტები აუღიათ. ვზივარ. ვსადილობ. ერთი ნაცნობიც მომემატა. ჩამოვაგდეთ ლაპარაკი ახალ მებუფეტეებზე:

— კაცო, ეს მამაცხონებულები, რომ მოუჯდებიან ამ სუფრას, მერე ცოტა მაინც იყვნენ, გეგონება ვიღაცას ალაპში არიანო. გუშინწინ ერთი ვიღაც დამთვრალი შემოვარდა და დათიკოს ჩხუბი დაუწყო: — გახსოვს ერთხელ უბილეთოდ არ წამიყვანეო. და ცხვირპირის ჩამტვრევა უნდოდა.

— მაგ არაფერია, მაგრამ ამ კერძს რომ ძვირად ყიდით, და ისიც ნაკლებ ხარისხის არის, ეს რაღას მივაწეროთ?

— კაცო, ნაჩალნიკის და რევზორის გაკეთებული ბორში მაგისანა რომ არის, არ გიკვირს!

სინდიოფალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვე დაიწყო ხელისმოწერა

სეკტემბრისათვის

მასიურ მუშურ გაზ. **მუშა** -ზე

გაზეთი ღირს თვეში 50 კაპ.

ყოველკვირეულ იუმორისტულ

ჟურნალ **ფარფატიზი** -ს

დამატებით 70 კაპ.

ტფილისში ხელის ოწერა მიიღება გაზ. „**მუშა**"-ს

მთავარ კანტორაში

ჯორჯიაშვილის ქ. № 6—ადგილობრივად

პროვინციებში გაზეთზე ხელისმოწერას აწარმოებენ:

განყოფილებები,

რწმუნებულები

და ფოსტა.

იზრუნეთ გაზეთის დროზე ხელისმოწერისათვის.

ცნობათა მიღება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზუმელ არჩივს (გომი ქუთ. მაზ.) ოთხწლედის მასწავლებელ სვიმონზე სწერთ, რომ:

ის ძველ დროს იყო ხუცესი
ბლომად ატყავა ხალხია.
დღეს ოინობას, ხრიკობას
ცხვრის ქურქი შემოახვია.

ალბად ცხვრის ქურქში მეტ სითბოს ნახულობს, ვიდრე გაფხეკილ ანაფორაში.

ჩვენ სავსებით გეთანხმებით, რომ:

ის ვერ აღგვიზრდის მომავალ
კომუნიზმისათვის მებრძოლებს.

მაგრამ საკვირველი ის არის, რატომ ეს თვალსაჩინო ჭეშმარიტება არ ესმის ზოგ განათლების განყოფილებებს?!

მინდოლაშვილს: მართალია „სოფლის კავშირი" ჩვენს ახლოს არის (კომინტერნის ქ.) და ისიც მართალია, რომ იქ ბევრია ბიუროკრატი, მაგრამ ჯერ-ჯერობით დავუცადოთ მწმენდავ კომისიას. ეს დაცდა იმით არის გამოწვეული, რომ ეს თქვენი ლექსი არ გამოდგა დასაბეჭდათ.

მაშასეს ს. ხევი, ოზურგეთის მაზრა. ახირებული პრეტენზია: **„გთხოვთ ეს წერილი შეუმოკლებლად და შეუსწორებლად გაუშვათ"-ო.**

ჩვენც ასე ვიქცევით:

„გლეხკომის ყოფილმა თავმჯდომარემ
(ბეგლარ სიხარულიძემ) გაფლანგა
400 მანეთი, მაგრამ პასუხს არავინ
სთხოვს, ეხლაც არხეინად სეირნობს.

ერთი გვითხარით, რა არის აქ სასაცილო და სახუმარო? პირიქით, სავალალოა. (აი, რას ნიშნავს, როცა ავტორი რედაქციას ნებას არ „აძლევს" წერილი შეასწოროს!).

შენი ძმა-კაცი შალიკოს (მონადირეთა მაღაზია № 1). რაც კარგი ძმა-კაცი უნდა იყოთ, ასეთ წერილს მაინც ვერ მოგითავსებთ. სიტყვა „მერი"(თქვენი თანამშრომელის სახელი) ძალიან სარითმო სიტყვაა და რატომ ვერ შეთხზეთ ცოტათ თუ ბევრად ხეირიანი ლექსი, რომლის დაბეჭდვა შესაძლებელი ყოფილიყო!

ვლ. ტევრელს (ზესტაფონი). რატომ ღობე-ყორეს ედებით? რისი ან ვისი გეშინიათ? თუ ეს:

ქვეყნის თვალი, საუნჯე
მე ვარ ბიჭი იანი.
როცა ღვინოს გადავკრავ,
დავალ თავრეტიანი, — ეხება თქვენს

თავმჯდომარე (ალბად აღმასკომის), ბარემ სთქვით ამკარად! წერილიდან კი ეს არა სჩანს გარკვევით; მიკიბულ-მოკიბული აზრია. ალბად ამ მიზეზის გამო არ დაიბეჭდა მაშინაც, თორემ წერილი მიღებული გვექნება. („ცნობათა მიღება"-ში) ჩვენ არ ვიძლევით პასუხს ყველა წერილებზე).

ასეთივე ითქმის თქვენი მეორე წერილის შესახებაც.

ქუჩუკ-ყარამანს (საჩხერე). წარმოდგენილი გვაქვს თქვენი ფოსტა სხვებს რასაც უზამს, როცა „ტარტაროზს" ამას უშვრება:

ფოსტაში ხდება ამბავი
მეტისმეტ გასაკვირია:
ველარ ვლებულობთ „ტარტაროზს"
გავიდა ხუთი კვირეა.

აბა, ვნახოთ, ეს ნომერი მაინც თუ მიიღოთ!

ნამს (სამტრედია). ჩვენი ბრალი არ არის რომ ამ წერილს ვერ ვბეჭდავთ; ეს თქვენი ბრალია — კარგად ვერ დაგიწერიათ. ამ წერილში მართლაც არც ერთი ნამი და წვეთიც არ არის სასაცილო. ნეკროლოგებს კი ჩვენ არ ვათავსებთ.

ალალბოზს. იხ. ჩვენი პასუხი „ნამი"-სადმი თქვენს ზემოთ. იმასვე გიპასუხებთ თქვენაც.

ახოს (მატანი, კახეთი) სანიტკომიას „ულუფიანებზე" უსაყვედურებთ. თუ თქვენი სანიტკომისია ნაგავს არ ხვეტავს, ჩვენ არ შეგვიძლია მას მივბაძოთ და ჟურნალში არ დავიცვათ სანიტარია. სწორედ ამიტომ არ იბეჭდება თქვენი წერილი.

მემუსიკეს (ვანი ქუთ. მაზ.): თუ მუსიკაშიაც ასეთივე ნიჭი გაქვთ, როგორც ლექსის წერაში, ვერაფერი კაი შვილი მემუსიკე ყოფილხართ.

„იქ მყოფს" (ს. ქოლობანი სენაკის მაზ.) ვათავსებთ თქვენი ლექსის ოთხ უკანასკნელ სტრიქონს:

კომკავშირელ ძმა-ბიჭებზე
თამრომ მეტად იმოქმედა.
მათში ცემა გაამეფა,
მოამდურა ბევრსაც დედა.

მათმა ზურგმა და ცხვირ-პირმა იკითხოს, თორემ თამროს რა ენაღვლება.

ალაპს. შე კაი კაცო, კაცს ასეთი ხათა და ზარალი შეგემთხვა და ხუმრობის ხასიათზე მაინც ხარ?

ბრაგუნას (დიდი-ჯიხაიში): თქვენ უსაყვედურებთ ადგილობრივ მასწავლებლებს:

აქ ცხრა წლედში ყველა ლოთობს,
სწავლის დღეა ნეტა როდის.
ტარტაროზო, შენ მოგელით,
მოგვეშველე, მალე მოდი.
მათ რომ ჰკითხოთ — ჯიხაიში
კულტურული სოფელია.
სუფრის თავში მე თამადად
მომწონს კოლა სოსელია.

მაშასადამე, არც თქვენ ყოფილხართ „ღვინის მოწინააღმდეგე".

შალიკოს: შევდივართ რა თქვენს მდგომარეობაში, რომ ეს ლექსი დაწერილია „სისხლის ღვრის" დროს, ვათავსებთ ერთ კუპლეტს:

როცა დამეძინება,
დამესევა ბაღლინჯო.
ვიღვიძებ და გარბიან.
როგორ უნდა დავგლიჯო.

ფვეტს (ტობანიერი, ქუთ. მაზრა). ჩვენ ეჭვი შეგვდის თქვენი წერილის „ასპროცენტიან" სინამდვილეში.

სიცხეა... იწვის ქვეყანა...
შეწუხდა აფთიაქარი.
ისე მოხრილა ის წელში,
თითქოს აქვს მას თიაქარი.

ხოლო ამ სტრიქონების ქვემოდ კი:

მაღალია და ტანწვრილი,
მოქნილი როგორც ლერწამი.

შე კაი კაცო, თუ კი „ლერწამივით" კაცია, განა რითმისათვის ღირდა მის წელში მოხრა?

თქვენ არ იფიქროთ, თითქოს ჩვენ ვეხათრებოდეთ აფთიაქარს კოლიას, რომელსაც უყვარს:

სეირნობა, ღვინო, ნარდი.
ქალებშია ბიჭი მარდი.
მას არა აქვს წამლის დარდი.

ორც ასეთი ლექსით შეიძლება კაცის გამოსწორება.

„უკარცათიხასილაშე"-ს (აბაშა). მართალი გითხრათ ბევრი ვიცინეთ... თქვენზე და არა წერილზე). თუ ამის უფრო საინტერესო ამბები არაფერი ხდება მანდ, არც კი ღირს ამაზე დროს დაკარგვა. დანით ნესვის დაჭრა თუ თქვენ გაცინებს, გირჩევთ დაჩქარებით მიმართოთ ექიმს.

ფითელ ნემსს (სვირი). ჩვენ სრულებითაც არ გვიკვირს, რომ ცხენებზე მხედრების მაგიერ სახედრები ჯდებიან.ამიტომ თქვენც არ უნდა გაგიკვირდეს, თუ „ვალოდია და გრიშა ბაზარში ცხენს აჭენებენ და ხალხს აფრთხობენ". (საწყალნი აზნაურობის მაძიებელნი!) ნეტავ, რას შვრება მილიციის უფროსი?!



უცხოელი ჩვენში

— საკვირველია! აქ მუშები თვითონ აგებენ ქარხნებს და ერთგულად მუშაობენ... ჩვენში კი — მუშები გაფიცვებს გვიცხადებენ!

პოლიგრაფ-ტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქ. 68.